



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/11-ო

თბილისი

09 თებერვალი 2015 წელი

შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა – KAMARA“- ში იძულებითი
ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2014 წლის 08 აგვისტოს №01/45-ო
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის,
ამავე კანონის 33¹ მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010
წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „ზღვეველის
იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის
წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე
მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა – KAMARA“-ში (ს/კ 404990435) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2014 წლის 08 აგვისტოს №01/45-ო ბრძანებით განსაზღვრული იძულებითი ადმინისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 10 მარტამდე.

2. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა - KAMARA“-ს მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

3. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ოსებ გოგოლაშვილი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი